



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული ბაჰემთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

הנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ოქტომბერი
(თიშრი)
15-31
№20 (354)
(5772)
2011

„הנורה“

עיתון יהודי

בגוריה

გილად შალიტი თავისუფალია

ბინიამინ ნეთანიაჰუ: ახლავე ჩივნიან, რომ უკვე სათანადოდ შეთანხმდა



სამშაბათს, 18 ოქტომბერს, ისრაელის თავდაცვის არმიის ჯარისკაცი გილად შალიტი, რომელიც 5 წელიწადნახევრის მანძილზე, ლაზას სექტორში პალესტინელი ტერორისტების ტყვეობაში იმყოფებოდა, ისრაელში დაბრუნდა.

გილადის გასათავისუფლებლად ისრაელმა საფასური გადაიხადა: ციხეებიდან უკვე გამოუშვეს 477 პალესტინელი ტერორისტი. მათგან 450 მამაკაცია, 27 კი — ქალი. გათავისუფლებული ტერორისტთაგან 287 მკვლელს სამუდამო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი.

შეთანხმების თანახმად, 40 ტერორისტი საზღვარგარეთ (თურქეთი, სირია, კატარი) გადაგზავნიან. მათგან ორი, თავიანთ სამშობლოში, იორდანიაში და აშშ-ში დაბრუნდება. კიდევ 550 ტერორისტი კი ამ შეთანხმების ფარგლებში დეკემბერში გაათავისუფლებენ. საერთო ჯამში, გილადის დასახსნელად, ისრაელი 1.027 ტერორისტის გათავისუფლებას დათანხმდა.

შეთანხმების შესრულების პირობებს თვალს ადევნებდა ასეულობით ყურნალისტი.

გილადის გათავისუფლების ამსახველი ვიდეომასალა და მისი ინტერვიუ პირველად ეგვიპტის სახელმწიფო ტელევიზიამ გადმოსცა.

წამყვანი ცდილობდა შალიტს არაბულ ან ინგლისურ ენებზე გასაუბრებოდა, მაგრამ გილადმა არჩია პასუხი მხოლოდ ივრითულად გაეცა. ინტერვიუს დაწყებამდე მას ჰკითხეს, თუ როგორ გრძნობს თავს? — გილადმა აღიარა, რომ არც თუ კარგად, თუმცა, თარჯიმანმა ჟურნალისტს უთარგმნა, რომ იგი თავს ნორმალურად გრძნობს.

გილადმა თქვა, რომ ამ შეთანხმების შესახებ ერთი კვირის წინ შეიტყობ: „ვფიქრობდი, რომ ეს კიდევ რამდენიმე წელს გაგრძელდებოდა“, — აღნიშნა შალიტმა. მან ისრაელსა და ჰამას შორის შუამავლობისთვის ეგვიპტელებს მადლობა გადაუხადა და დასძინა, რომ მოუთმენლად ელის თუ როდის შეძლებს ჩახუტოს თავის ახლობლებს და უბრალოდ „აღამიანებს გაესაუბროს“.

კითხვაზე, თუ რას გრძნობს იმასთან დაკავშირებით, რომ ასეულობით პალესტინელი პატიმარი თავილა გილადი ჩაფიქრდა. შემდეგ კი განაცხადა, „მთავარი ვარ რომ მათ ათავისუფლებენ“. მან იმედი გამოთქვა, რომ ისინი მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდებიან და მთლიანობაში ეს შეთანხმება ხელს შეუწყობს არაბულ სამყაროსთან მშვიდობიან დარეგულირებას. გილადს ამკარად არ სურდა პოლიტიკაზე საუბარი. იგი ძირითადად იმ შეკითხვებს პასუხობდა, რომლებიც პირადად მას და მის ოჯახს შეეხებოდა.

„კერემ შალომ“-ის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე (ლაზას საზღვართან) შალიტი სამხედრო ვერტიკალით „ტელ-ნოფ“-ის ავიაბაზაზე გადაიყვანეს, სადაც მას ოჯახის წევრები და ახლობლები ელოდნენ. ვერტიკალის დაშვების წინ გილადს ისრაელის ჯარისკაცის ფორმა ჩააცვეს. ტყვეობიდან გათავისუფლებულ ჯარისკაცს პირველად ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბინიამინ ნეთანიაჰუ შეეგება.

„ტელ-ნოფ“-ის ავიაბაზიდან, მშობლებთან ერთად, გილადი სახლისკენ გაემართა, სადაც მას ახლობლები ელოდნენ.

ისრაელის მოქალაქეებო, ამ დღეებში ჩვენ საერთო სიხარული და საერთო ტკივილი გვაერთიანებს. ორ წელიწადნახევრის წინ, როდესაც პრემიერ-მინისტრი გახდით, ჩემს ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას „ჰამასის“ ტყვეობიდან გილად შალიტის დახსნა წარმოადგენდა. დღეს ეს ამოცანა წარმატებით შევასრულეთ, თუმცა ამისთვის არც თუ იოლი გადაწყვეტილების მიღება მოგვიხდა.

როგორც ჯარისკაცსა და მეთაურს, პირადად მე არაერთხელ მიწვევა სახიფათო დავალებების შესრულება, მაგრამ ყოველთვის ვიცოდი, რომ თუ მე ან ჩემი მეგობრები ტყვედ ჩავარდებოდით, ისრაელის სახელმწიფო ყველაფერს იღონებდა ჩვენს დასახსნელად. ახლა, როდესაც პრემიერ-მინისტრი ვარ სწორედ ასე მოვიქცევი.

ყოველდღიურად, როცა ჩვენს ჯარისკაცებს ისრაელის სახელმწიფოს დასაცავად ვგზავნი, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი სოლიდარობა და ორმხრივი პასუხისმგებლობა, ჩვენივე არსებობის ერთ-ერთი საფუძველია.

ასევე მივისწრაფოდი, რომ საერთო, რომელიც ისრაელის მოქალაქეების უსაფრთხოებას დაეუქრებოდა, მინიმუმადე შემემცირებინა. ამიტომ ორი უმთავრესი მოთხოვნა დავაყენე: „ჰამასის“ მეთაურები, მათ შორის მასობრივი მკვლელები, ციხეებში დარჩებიან. მეორე: გათავისუფლებული ტერორისტების უმრავლესობა გაძევებული იქნება, ან ისინი იუდეისა და სამარიის საზღვრებს გარეთ დარჩებიან.

წლების მანძილზე „ჰამასი“ ამ მოთხოვნების წინააღმდეგი იყო. მაგრამ რამდენიმე თვის წინ, ჩვენ ცალსახა მინიშნებები მივიღეთ იმის თაობაზე, რომ ისინი მზად არიან ამ საკითხში დათმობებზე წავიდნენ. ქაიროში, ეგვიპტის ხელისუფლების შუამავლობით, დღე და ღამ ურთულესი მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. ჩვენი დაუნიებით, ამ მოთხოვნების უმრავლესობა შესრულდა და მე გადაწყვეტილება უნდა მიმეღო.

მესმის, რომ ტერაქტების შედეგად დაღუპულთა ოჯახის წევრები აუტანელ ტკივილს განიცდიან. მძიმეა, როდესაც ხედავ, რომ არამზადა, რომელმაც ახლობელი ადამიანი მოგიკლა ვადამდე თავისუფლდება. მაგრამ ამავედროულად ვიცოდი, რომ შექმნილ ვითარებაში, სახელმწიფო დონეზე ეს ყველაზე საუკეთესო შეთანხმება იყო. მიუხედავად იმისა, რომ მისი პირობების შესრულების გარანტიას არავინ იძლეოდა. ასეთ შემთხვევაში გილადს დავკარგავდით, ისევე, როგორც ეს წარსულში ხდებოდა.

ხუთი წლის მანძილზე, გილადის ტყვეობაში ყოფნის პერიოდში მასზე ვფიქრობდი. არ მინდოდა, რომ მას რონ არადის ბედი გაეზიარებინა. რონი ტყვეობაში 25 წლის წინ მოხვდა. დღემდე მახსოვს დედამისი, ბათია, რომელიც ამ ტკივილით, სიკვდილამდე იტანჯებოდა.

ვიცოდი, რომ დიდი პასუხისმგებლობა მენიჭებოდა და ამ გადაწყვეტილების მნიშვნელობასაც ვაცნობიერებდი. ასეთ ნუთებში ლიდერი ყოველთვის მართალია და გადაწყვეტილება მან უნდა მიიღოს. ყველაფერი ავწინ-დავწინე და გადავწყვიტე. მთავრობამ ხმათა უმრავლესობით მხარი დამიჭირა.

დღეს გილადი სახლში, თავის ოჯახთან, თავის ხალხთან, თავის ქვყანაში დაბრუნდა. ეს მეტად ამაღლევებული მომენტიცაა. როდესაც იგი თვითმფრინავიდან ჩამოვიდა, მე ის ჩავიხუტე მივაცილე თავის მშობლებთან ნოამთან, ავივასთან და მათ ვუთხარი: „თქვენი შვილი სახლში დავაბრუნე“.

ამავდროულად, დღეს მძიმე დღეა. ჩვენ ფასი მაქსიმალურად დავწიეთ, მაგრამ ის მაინც საკმაოდ მაღალია.

ვაცხადებ, რომ ტერორთან ბრძოლას გავაგრძელებთ. ყველა გათავისუფლებული ტერორისტი, რომელიც ტერორისტულ მოღვაწეობას დაუბრუნდება დაისჯება.

ისრაელის სახელმწიფო განსხვავდება თავისი მტრებისგან. ჩვენ არ ვზეიმობთ ტერორისტების გამარჯვებას, მკვლელებს ხელში აყვანილს არ ვატარებთ. პირიქით, ჩვენ ადამიანის სიცოცხლის სინამდვილე გვწამს - ეს ებრაელი ერის ძირძველი ტრადიციაა.

ისრაელის მოქალაქეებო, ბოლო დღეებში ჩვენ თვალს ვადევნებდით ერთიანობას, რომელიც კარგა ხანია არ გვინახავს. ეს ერთიანობა არის და იქნება ებრაული სახელმწიფოს სიძლიერის წყარო. დღეს ჩვენ აღვნიშნავთ გილადის დაბრუნებას ჩვენს თავისუფალ, ისრაელის სახელმწიფოში.

ხვალ „სიმხათ თორა“-ს დღესასწაულს ვზეიმობთ. დღეს კი ისრაელის ყველა მოქალაქის სახელით, ჩვენი ხალხის მარადიული ფასეულობების სულისკვეთებით გეტყვით: „ისრაელის ხალხი ცოცხალია!“

საქართველოს ებრაელობის ყოველდღიურობა

იოსებ ყვითელაშვილის ღირსეული საქმე

იოსებ ყვითელაშვილი, ანუ როგორც სიყვარულის დასტურად ეძახიან, სოსო კარგად ახსოვთ თბილისში. იგი, ამ ორი ათეული წლის წინათ გადასახლდა ჩვენი დედაქალაქიდან, მაგრამ საქართველოს, ქართველი ებრაელობის სიყვარული, როგორც ჩანს, თან დაჰყვება. ამის დასტურია ნიგნი-ალბომი „ქართველ ებრაელთა მოკლე ისტორია“.

ასე რომ სოსო ყვითელაშვილს — ბიზნესმენ კაცს — მადლობა უნდა ვუთხრათ ამ ღირსეული ნამოწყებისათვის. თუმცა, ამას ვერ ვიტყვით მასალათა ავტორებზე, მათი ნამუშევარი სხვადასხვა ნაკლოვანებით ხასიათდება.

სოსო ყვითელაშვილმა მოინდომა თავისი სიყვარული, მონივნება ებრაელი ხალხისადმი ამ ნიგნით დაედასტურებინა, მასალათა ავტორებს მიუხედავად და პატივისცემა მართებდათ.

მიუხედავად ამ ზოგადი შენიშვნისა, ნიგნი რუსულენოვან მკითხველს აცნობს ებრაელი ხალხის ისტორიის მნიშვნელოვან თარიღებს, ქართველ ებრაელ სასულიერო, თუ კულტურის მოღვაწეებს, სპორტსმენებს, უურნაღისტებს და სხვ.

გვსურს მკითხველს გავაცნოთ ნიგნში მოყვანილი ორიოდ სტატისტიკური მონაცემი იმის თაობაზე, თუ რომელ წელს რამდენი ებრაელი ცხოვრობდა თბილისში და როგორია სხვადასხვა ქვეყნებში განფენილ ქართველ ებრაელთა რიცხოვნება. სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი ინფორმაცია არ არის დათარიღებული.

თბილისში მცხოვრებ ებრაელთა რაოდენობა		ქართველი ებრაელობა დიასპორაში	
1905 წ.	4843	ამერიკა	1000
1912 წ.	6798	ბელგია	500
1914 წ.	8712	ავსტრია	150
1926 წ.	6962	მოსკოვი	1000
1939 წ.	13915	უნგრეთი	100
1969 წ.	17311	გერმანია	50
1970 წ.	19600		
1979 წ.	14900		
1989 წ.	13500		
2000 წ.	6000		

სუქოთის დასრულებას მიეძღვნა

23 ოქტომბერს თბილისის ებრაულ სახლში ჩატარდა გასართობი წვეულება, ბავშვებს ართობდნენ მონვეული მსახიობები და „ბრიქ დანის“ მოცეკვავეები, დასასრულს სტუმრებს ტკბილეულით გაუმასპინძლდნენ. წვეულება სუქოთის დღესასწაულის დასრულებას ეძღვნებოდა და „ჯოინთის“ მხარდაჭერით ჩატარდა. სიტყვით გამოვიდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის ხელმძღვანელი ლენა ბერკოვიჩი, „ჯოინთის“ წარმომადგენელი საქართველოში დავიდ ზოჰარი, საქართველოში მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელი ავიმელეხ როზენბლატი.

ელენა ბერკოვიჩი: წვეულება ბავშვებისთვის გავმართეთ. ცოტა ხნის წინ იყო რომ ჰამანა და სუქოთი, რომელიც დღევანდელი სალამოთი დავასრულეთ. ბავშვებისთვის ძალიან კარგი საღამოა, რადგან ბევრი გასართობი პროგრამაა დაგეგმილი, იმედი გვაქვს, კარგ დროს გაატარებენ. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო „ჯოინთის“ წარმომადგენლობას საქართველოში.

დავიდ ზოჰარი: „ჯოინთის“ წარმომადგენლობა საქართველოში მსგავს ღონისძიებებს რეგულარულად აწყობს. უმუალოდ დღესასწაული მოაწყობს კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდმა ელენა ბერკოვიჩის ხელმძღვანელობით. დღევანდელი საღამო ეძღვნება, სუქოთის დასრულებას. ვულოცავ ყველა აქ დამსწრეს. ამინდმაც ხელი შეგვიწყოს და ვფიქრობ, ბავშვებმაც გაიხარეს, რადგან მათთვის ბევრი სიურპრიზი გვაქვს მომზადებული. მსგავს ღონისძიებებს მომავალშიც აუცილებლად მოვანწყობთ.



ებრაელთა კავშირის ინიციატივა



ებრაელთა კავშირმა თბილისის ბეით ქნესეთის ილუსტრირებული ებრაული კალენდარი და ღია ბარათები გამოსცა.

მირაზ ჩანჩალაშვილი: თავიდან გავაკეთეთ ებრაული კალენდარი. ისტორიული სინაგოგა გვაქვს და ჩვენდა სამწუხაროდ, ერის მამებისაგან მივიწყებულია. ამან გამოიწვია ჩემი აღშფოთება. თუმცა, თუ სხვაზე შევიძლია რამის თქმა ჯერ შენ უნდა გააკეთო კარგი საქმე. ეს კალენდარი გავაკეთე იმისთვის რომ პირველ რიგში ყოფილიყო სინაგოგის რეკლამა, კალენდარი ყველა ებრაელს უფასოდ ურიგდება. შეძლებისდაგვარად, გაიგზავნება ისრაელში და მოსკოვში, სადაც ქართველი ებრაელები ცხოვრობენ, არ დაავიწყდეთ და გაიხსენონ თბილისის სინაგოგა, რომელიც ნამდვილად არ ჩამოუვარდება ძალიან ბევრ ისტორიულ ძეგლს. ასევე საქართველოს ებრაელთა კავშირმა გავაკეთე ღია ბარათების კომპლექტი, რომელსაც ორმაგი დანიშნულება აქვს. ისევ და ისევ სინაგოგის პოპულარიზაცია და რეკლამა, მეორე მხრივ კი სინაგოგისთვის შემოსავლის ერთ-ერთი წყარო იქნება. სინაგოგაში ბევრი ტურისტი შემოდის ღია ბარათების გარკვეული ნაწილის გაყიდვის შედეგად მიღებული თანხა კი ისევ სინაგოგას მოხმარდება. ეს ღია ბარათები ებრაელთა კავშირის წევრებმა ჩვენი პირადი სახსრებით დავაფინანსეთ და საჩუქრად გადავცით სინაგოგას. აღნიშნული პროექტი გრძელვადიანია, ღია ბარათები კვლავ დაიბეჭდება და გაიყიდება კიდევ.

ბო ე ნ ი ის საღამო


28 ოქტომბერს, 16 საათზე მომწიფე ახალგაზრდობის სსსსსს სარეზერვოს დარბაზში გაიმართა ქართული და ებრაული ლიტერატურის საღამო. მონაწილეობენ გადმოხედილი ქართველი და ისრაელიდან ჩამოსული ლიტერატორები, მეცნიერები. გაიმართა ზეგნის-„სკოლიერების ორი ქვეყანა“ — ლიტერატურული.



თბილისის დიდი სინაგოგა 100 წლის თავზე

„ასაღმარისა ღმერთისა“ უთაყოფადაც საღმარისი

(წერილი მეორე)



ამ წერილში თბილისის დიდი სინაგოგის კედლის მხატვრობაზე ვისაუბრებთ და ამ ნიშნით საქართველოს სხვა სინაგოგების ფერწერის პოეტიკასაც შევეხებით.

თბილისის სინაგოგის ორივე დარბაზი (ქვედა და ზედა) ინტერიერი, კიბის უჯრედის და შესასვლელის კედლები და ჭერი მთლიანად მოხატულია. ნახატის თემატიკაა მცენარეული მოტივები, ორნამენტი და ორდერული ვარიაციები. ფერთა მეტყველებაში სჭარბობს მოყავისფრო და მოოქროვლი ზედაპირები, აქა-იქ ცისფერის მონაწილეობით და წითელის გაღვლებით; ოსტატობა - უმაღლესი. ამ ფერწერულ ჰარმონიაში მონაწილეობს შრიფტის პლასტიკა. ტექსტები გამოყენებულია კედლების


მეორეს მხრივ ეს მხატვრობა, როგორც არტიფაქტი არსებობს და კიდევ ერთხელ, თამამად შეიძლება აღინიშნოს ნახატის კულტურა, ფანტაზიის სიმდიდრე და ფერთამეტყველების მაღალი დონე, ჩვენი დაკვირვებით ამ სურათებში სჭარბობს მოყავისფრო გამა, რაც რემბრანტის ტილოების საერთო განწყობილებას გვაგონებს. ცნობილია, რომ სინაგოგათა მხატვრობაში გამოირიცხულია ადამიანის გამოსახულება - ის, რასაც რელიგია კრძალავს - „არ გააკეთო შენთვის ქანდაკება და არავითარი ხატი, რაც არის ზეგარდმო ცაში, დაბლა მიწაზე და წყალში მიწის ქვეშ“ [გამოსვ. 20:4].

ჩვენს მიმოხილვაში ყურადღებას გავამახვილებთ სინაგოგათა მთავარი კედლის მხატვრო-

ლი ტექსტი, სურათები მთაზე და მთა სურათებზე; სამსხვერპლო მთაზე და მთა სინაგოგაში.

სინაგოგათა ფერწერული ტექსტებისთვის სრულიად უცხოა მიმეზისის ესთეტიკა, მსგავსების რაიმენაირი ტირაჟირება, აბსტრაგირებისა და იმაგინაციის გარეშე. ეს სურათები უფრო ფერწერული ნარაჯის პოეტიკას განეკუთვნებიან, ვიდრე საკუთრივ ფერწერას. მეორეს მხრივ თანამედროვე მხატვრობის კონცეპტიც ეს გახლავთ. სინაგოგათა ფერწერის - ნიშნური სისტემა ბიბლიური ქრონოტოპია (ყოლაში - ეს ოლაში და ის ოლაში (ოლამ ჰაზე ვე ოლამ ჰაბა) - პატარა დრო და დიდი დრო.

დროის კონტექსტთან მიმართებაში უნდა განვიხილოთ სურამის სინაგოგის ნაივური მხატვრობაც. ამ სურათზე გამოსახული ხეებით და მდინარით, წარმოდგენილია მყარი და მედინი



მოხატულობასთან სინთეზში.

თემა და არონ-ჰაკოვდემი ორივე დარბაზში ხისაა, - რთული პროფილებით და ორნამენტული დამუშავებით. ჰეხალის ლურჯი ფარდა, ოქროს ძაფით ნაქარგი ლომების გამოსახულებით, ოსტატური ნამუშევარია.

უძველესი ტრადიცია ითვალისწინებს ქალთა გაღვრის აქტიურ მხატვრულ გაფორმებას. თბილისის სინაგოგაც ამ ტრადიციას აქტიურად ეხმარება.

სადღეისოდ დაზიანებულია ჭერის უნიკალური მოხატულობა, რომელიც შესრულებულია ხელით. გაჩნდა აზრი, რომ ის შეიცვალოს ფოტოასლით. ვფიქრობ, ჩვენი არჩევანი რესტავრაციის სასარგებლოდ უნდა გადაწყვიტოთ.

გაჩნდა ასევე აზრი, რომ მთავარ ფასადზე, შესასვლელ კართან განთავსდეს მემორიალური დაფა სამეწიფის ნარწერით: „თბილისის დიდი სინაგოგა აშენებულია 1904-1913 წლებში ახალციხელ ებრაელთა გარჯით“. 1904 წელი უკვე დაფიქსირებულია შესასვლელი თაღის ცენტრში. ასევე დაფიქსირებულია ახალციხელ ებრაელთა როლი, როგორც სახელწოდებაში „ახალციხელების ლოცვა“, ასევე უთვალავ წერილობით წყაროებში. მისი რეკლამირება არ მგონია აუცილებელი, მით უმეტეს უცხოენოვანი მკითხველისთვის არაფრის მთქმელი იქნება „ახალციხელი“. ამ აზრის გამოთქმის უანგარობა ჩემს ახალციხელობასაც ეფუძნება და ჩემს არქიტექტორობასაც.

ფერწერა - თანამედროვე გაგებით - პირობითი ტერმინია საქართველოს სინაგოგათა ინტერიერების კედლის მხატვრობასთან მიმართებაში.

ბაზე. მთავარი ვუნოდოთ იმ კედელს, რომელიც სინაგოგის შესასვლელის მოპირდაპირე მხარესთან მიმართებაში ქმნის გრძივ ლერძს და იერუსალიმისაკენ (საქართველოსთვის სამხრეთისკენ) არის მიმართული. აქ ფერწერის თემა ტრადიციულია, - ეს გახლავთ სინას მთაზე თორის (ტექსტის - ათი მცნების) გადმოცემის მისტერია. სურათი განფენილია თორის გრაგნილთა შესანახი წმინდა კარადის თავზე. ასეთი ფერწერა გვხვდება ონისა და ქუთაისის სინაგოგებში.

ბიბლიის ტექსტის ერთ-ერთი მთავარი მოტივია მთის მითოლოგია. მთაზე სამსხვერპლოებს აგებენ: ნოახი, აბრამი, ისაკი, იაკობი; მოშე მთაზე ღებულობს უწყებებს, მათ შორის სჯულის კარავის აგების შესახებ, უფრო განზოგადებულად თუ ვიტყვით, ჰიეროფანიის ადგილი არის მთა. „მთაზე უფალი ცხადდება“ [დაბ. 22:14].

გამოცხადების სიმბოლოდ, სურათებზე, გვირგვინით შემკული სჯულის ფიცრებია გამოსახული. სხივთა სეგმენტი, რომელიც ღვთაებრივი იპოსტასის ამ სიმბოლოდან გამოდის თითქოს სურათიდან გადმოსვლასაც ცდილობს და ეფინება გარემოს.

ხშირ შემთხვევაში გამოყენებულია საინტერესო ოპუსი. ნათლის მომფენი სიმბოლოსთან ერთად არავირტუალური - ნამდვილი სინათლე იჭრება მთის ქიმზე გადმომდგარი წრიული ლიობიდან - მცირე ზომის სარკმელიდან. ირაციონალურ რაციონალურის ეს სიმბიოზი ზუსტად იმ ეფექტს ახდენს, რაც ევალება სინაგოგას - ნათლის დაბადების - პირველი დღის და სიცოცხლის ხის სახლს. რაც მთავარია მთელი ამ იერარქიის სათავე - წყარო ტექსტია (თორა). ასე ერთიანდება სიტყვიერი და ფერწერული

დრო-გზა. სხვა სურათებში - სხივთა და ღრუბელთა უაღრესად აბსტრაგირებული ბადით - თითქოს სამყაროს მატრიცა მოცემული - სივრცის ლოგარითმული ცხრილი. სამწუხაროა, რომ ეს უნიკალური სურათები ამ დღეებში თვალსა და ხელს შუა გაქრა - რემონტს შეეწირა. ეს ამჟამად ნეგატიური პრეცედენტი შეიძლება სხვა სინაგოგებზეც გავრცელდეს, ამიტომ უნდა ვიკითხოთ, ვიდრე ასეთ საქმეს შევუდგებით. მერემონტემ ნებართვა რელიგიური ხელმძღვანელობისგან მიიღო და სწორად მოიქცა, მაგრამ სინაგოგა, რელიგიურ დანებებულებასთან ერთად ხუროთმოძღვრული ფაქტია და ბუნებრივია მასთან მიმართებაში მანიპულაციების ჩატარებას სპეციალისტის კონსულტაცია სჭირდება. ასეთი სპეციალისტი კი მე გახლავართ, ჩემი პროფესიით - პრაქტიკული და სამეცნიერო მოღვაწეობით. სხვა გამკითხველი კი ამ საქმეში არ არის. მე ხომ არასდროს დაგზარებივართ.

სიტყვამ მოიტანა და რამდენიმე ფაქტიც გავიხსენოთ სურამელ ებრაელთა ცხოვრებიდან. 1930-იან წლებამდე სურამში სამი სინაგოგა არსებობდა. ერთში კლუბი გაიხსნა, მეორეში - სკოლა. 1940-იანი წლების დასასრულს სკოლის შენობა ისევ დაუბრუნეს ებრაელებს და სინაგოგა აღადგინეს.

გასული საუკუნის მინურულამდე სურამში ებრაელები ძირითადად ერთ ქუჩაზე სახლობდნენ. მთამბეჭდავი იყო ამ „ქუჩა-დერეფნის“ საქმიანი „ინტერიერი“. აქვეა, ის ერთადერთი, სინაგოგაც, რომელიც არ გამოირჩევა საცხოვრებელ განაშენიანებაში და მასში ველარც ყოველდღიური შეკრება ხორციელდება. სურამში შემორჩენილია ებრაული სასაფლაო.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მეცხრამეტე საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან სურამის სინაგოგაში ინახებოდა ბრეთის ბიბლიის უძველესი ხელნაწერი (1513 წ.).

შოთა აოსტანაშვილი

P.S სურათებზე, რომლებიც გადაღებულია სტატიის ავტორის მიერ წარმოდგენილია უკვე დაკარგული სურამის სინაგოგის კედლის უნიკალური, ნაივური მხატვრობა.

ფანტასტიური რამაზ ჩხიკვაძე



ქართულ სცენას გენიალური სტოვებენ — აღარ არის რამაზ ჩხიკვაძე, როგორც ამ დღეებში საყოველთაოდ აღნიშნავენ — გენიალური ქართველი მსახიობი, არტიტი, რომელმაც რობერტ სტურუსთან ერთად ქართული თეატრის სრულიად ახალი, თვალშეუდგამი ეპოქა შექმნა. მანამდე არსებულ არცერთ ქართველ რეჟისორს, მსახიობს არ ხვდომია წილად ისეთი საერთაშორისო აღიარება, როგორც რობერტ სტურუსა და რამაზ ჩხიკვაძის ერთობლივ შემოქმედებას (დღეს აღარც ერთია რუსთაველის თეატრში და აღარც-მეორე) ქართული თეატრი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში სწორედ ამ რეჟისორისა და არტიტის მეოხებით მოხვდა.

იგი ხომ ერთნაირად გენიალური გახლდათ, როგორც ტრაგიკულ, ასევე კომიკურ როლებში, ამით მოიპოვა მსოფლიო სახელი, ამით იყო თვალშეუდგამი მისი სამსახიობო დიპაზონი.

ჩემმა მეგობარმა ნოდარ გურაბანიძემ მასზე ჩინებული წიგნი — „ფანტასტიკური რამაზ ჩხიკვაძე“ დაწერა. ამაზე სრულად რამაზს ვერავინ დაახასიათებს — იგი, მართლაც, ფანტასტიკური იყო.

ხალხი ამბობს: მეუღლემ — ნატაშა ჩხიკვაძემ — რამაზს იმ ქვეყნად გაასწრო, რომ მის შესახებ ვერაფერი იცნობდა. ისევე გაამზადოს ყველაფერი, ისევე იზრუნოს რამაზისათვის, როგორც მთელი ცხოვრება ზრუნავდაო. ნატაშა ჩხიკვაძე გულადი ებრაელი ქალბატონი გახლდათ, ამიტომ რამაზის და ნატაშას ირგვლივ მუდამ იყვნენ ებრაელი მეგობრები. იყვნენ ისინი ისრაელში, საქართველოში. შევეცდები მკითხველს მალე ვუამბო საფესახო სედერისადმი ნატაშას და რამაზის ინტერესი, როგორ ენადა ნატაშას და ცხადია, რამაზსაც დასწრებოდა საფესახო სედერს და ერთად როგორ ჩავატარეთ ავადა!

რამაზ ჩხიკვაძეს შეილოკის თამაშიც ენადა, რამდენჯერმე დააპირა კიდევ, ვერ მოხერხდა. მჯერა, რომ ეს იქნებოდა დიდებული სახე მტრულ გარემოცვაში მოხვედრილი ებრაელი კაცისა.

საქართველო ცრემლით და ტაშით დაემშვიდობა რამაზ ჩხიკვაძეს. ცრემლით, რადგან ველარასოდეს ვეღარ იხილავენ მას სცენაზე, ტაშით კი მისი ღვანლი, ამ ცის ქვეშ მის მიერ განეული შრომა დააჯილდოვეს.

გურამ ბათიაშვილი


ახალი კალენდრები



ებრაული სააგენტო ისრაელისათვის საქართველოს წარმომადგენლობამ გამოსცა 5772, (2011-2012) წლის კალენდარი შანა ტოვა! მასში ებრაულ დღესასწაულებთან ერთად აღნიშნულია საქართველოს

ველოს დღესასწაულებიც. კალენდარში მოცემულია მოკლე ისტორია ებრაული სააგენტოს საქართველოში გახსნისა, მისი მიზნებისა და ფუნქციების შესახებ. მოცემულია ყველა ის ღონისძიება, თუ პროგრამა, რომელსაც აღნიშნული ორგანიზაცია ახორციელებს.

ებრაული სააგენტო გაიხსნა 1990 წელს და იყო პირველი ოფიციალურად აკრედიტებული უცხოური წარმომადგენლობა საქართველოში. ატარებს ლექციებს, სემინარებსა და ვიქტორინებს ებრაული თვითშემეცნების თემაზე — ეს წარმომადგენლობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. ასევე კალენდარი დასურათებულია, ყველა იმ ღონისძიებებისა და აქციების ამსახველი ფოტომასალით, რომელთაც სააგენტო ახორციელებს. კალენდრის დიზაინზე მუშაობდა ლ. სამოვსკი, კომპიუტერულ გრაფიკაზე კი — ა. კონოვალოვი. ინფორმაციები მოცემულია როგორც ქართულ, ასევე რუსულ ენაზე.



შიმონ პერესი ლიბერმანს შეუკამათა და აბუ მაზენი დაიცვა

25 ოქტომბერს ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა ავიგდორ ლიბერმანმა განაცხადა, რომ პალესტინის ადმინისტრაციის მეთაური აბუ მაზენი სერიოზული წინააღმდეგობა და ხელს უშლის ახლო ამოსავლეთში საყოველთაო მშვიდობის დამყარებას.

– აბასმა იცის, თუ რა მოუვიდათ მის უახლოეს მეგობრებს: კადაფის, მუბარაქს, ბენ ალის და სხვებს. ამიტომ იმუქრება გადადგომით, ამან არ უნდა დაგვავრთხოს. მისი გადადგომა ისრაელისთვის სასიკეთოა. მის შემდეგ ვინც არ უნდა მოვიდეს, აბუ მაზენზე უკეთესი იქნება. აბუ მაზენი დაინტერესებულია კვალი დატოვოს პალესტინელი ხალხის ისტორიაში და ფუფუნებით იცხოვროს.

რადიოსადგურ „კოლ ისრაელის“ მონაცემებით, ისრაელის პრეზიდენტი შიმონ პერესი საჯაროდ შეუკამათა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრს — ავიგდორ ლიბერმანს, ამასთან ისიც განაცხადა, პალესტინის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა ნდობას იმსახურებს და შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს სამშვიდობო დარეგულირების საქმეში.

პრეზიდენტის აზრით, პალესტინის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი აბუ მაზენი და პრემიერ-მინისტრი სალამ ფაიადი „ფათხის“ დაჯგუფების მისაღები, ნაკლებ აგრესიული წარმომადგენლები და, ამასთან ერთად, პროფესიონალები არიან. ამის გამო სამშვიდობო მოლაპარაკებაზე ადეკვატური პარტნიორები გახლავან და ისრაელის ხელისუფლებამ ზურგი არ უნდა აქციოსო.

პალესტინის პრემიერ-მინისტრმა სალამ ფაიადმა განაცხადა, რომ პალესტინა უარს ამბობს მოლაპარაკებაზე, რადგან „ჯერჯერობით არ დამდგარა მისაღები ისტორიული მომენტი“.

ასი ათასი დოლარი ებრაელი ჯარისკაცის გატაცებისთვის

საუღის არაბეთში ცნობილმა ლეთისმეტყველმა ალ-კარნიმ 100 ათასი დოლარი აღუქვა იმას, ვინც მოახერხებს ისრაელელი ჯარისკაცის დატყვევებას. ამას იუნყება პორტალი inet. ეს ინფორმაცია იმამის პირად გვერდზე, დაიდო სოციალურ ქსელში და უმაღლესი მსოფლიოს მუსულმანთა სიმპატია დაიმსახურა — სულ რაღაც 24 საათის განმავლობაში ათასმა ადამიანმა აღნიშნა, რომ მოსწონთ ლეთისმეტყველის წინადადება.

ალ-კარნიმ განაცხადა, რომ ჩემი წინადადება არის პასუხი ახალმოსახლე ლიბანის განცხადებაზე — ლიბანმა 100 ათასი დოლარი აღუქვა იმას, ვინც სიცოცხლეს გამოასალმებს შიმონ ლიბანის მკვლელს. მკვლელი ერთ-ერთი იმთავანია, ვინც გილათ შალიტის გათავისუფლების სანაცვლოდ გამოვიდა ისრაელის საპრობილედან.

ალ-კარნიმ აცხადებს: ვსარგებლობ ამ საზეიმო შემთხვევით და ბოროტმოქმედ ლიბანებს ვუცხადებ: მზად ვარ 100 ათასი დოლარით დავაჯილდოვო ის, ვინც დაატყვევებს ისრაელის საოკუპაციო ჯარის ჯარისკაცს.

როგორც inet-ი წერს, იმამი ხშირად გამოდის ადგილობრივი ტელევიზიით და მოუწოდებს, დაუყოვნებლივ იქნას აღდგენილი „პალესტინის ისლამური სტატუსი“.

<p>ციალა, ნათელა, ლანა, ბელა, ნანა, გურამ, მალხაზ ბათიაშვილები, გია, ილო წინუაშვილები, გურამ ხარაზიშვილი, რომან მიხელაშვილი, გია დავარაშვილი, ლეილა და თემურ გაგულაშვილები იუნყებიან მარინა იაკობის ასულ მიხელაშვილის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.</p>
<p>რობერტ, თენგიზ და ფრიდა მიხელაშვილები, ლერა და ფიმა კაცობაშვილები ოჯახებით იუნყებიან მარინა იაკობის ასულ მიხელაშვილის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.</p>